

K 251.090
3



საბიბლიოთეკო
ჯეიანიკის
მინიბუმი
მასობრივ
ბიბლიოთეკებში



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

პ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახ-
ელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

საბიბლიოთეკო
გაქნიკის
მინიშუმი
მასობრივ
ბიბლიოთეკებში

ინსტრუქცია და სააღრიცხვო ფორმები

თარგმნილია მე-10 რუსული გამოცემიდან

F42.113
3

K150.236
3

020479.22)



სახელმწიფო სწავლავი

„საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის“ მე-10 გამოცემის
ქართული ტექსტი მოამზადეს:

გ. ბერულავამ, ბ. მაზანაშვილმა და მირიან პაპიძემ

რედაქტორი — პ.ვ. კიკნაძე

K 251.090
3

1978-2007
საქართველო

საქართველოს
პარლამენტის
მრეწველობის
ბიბლიოთეკა

რუსული გამოცემის წინასიტყვაობა

„საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმი მასობრივ ბიბლიოთეკებში“ შეიცავს საინსტრუქციო მითითებებს დაკომპლექტების ძირითადი საკითხების, წიგნადი ფონდების აღრიცხვის, დამუშავებისა და კატალოგების ორგანიზაციის, მკითხველთა მომსახურების ტექნიკისა და ბიბლიოთეკების მუშაობის აღრიცხვის შესახებ. მასში წარმოდგენილია ძირითადი პირველადი დოკუმენტაციის ფორმები, რომლებიც საერთოა ყველა მასობრივი ბიბლიოთეკისათვის და რომელთა დანერგვაც წარმოადგენს ბიბლიოთეკების საქმიანობის წარმატების, კონტროლის, თვითკონტროლისა და ანალიზის აუცილებელ პირობას.

„მინიმუმის“ გამოყენება სავალდებულოა როგორც სსრკ კულტურის სამინისტროს სისტემის ყველა მასობრივი ბიბლიოთეკისათვის, ისე ყველა პროფკავშირული ბიბლიოთეკისათვისაც.

„მინიმუმის“ მე-10 გამოცემის გამოსვლის მომენტიდან ყველა წინა გამოცემა გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

„მინიმუმის“ ხელახლა გამოცემა გამოწვეულია მოსახლეობის წიგნით მომსახურების გაუმჯობესების, ბიბლიოთეკებში ახალ მკითხველთა მოზიდვის, წიგნის პროპაგანდის დონისა და მშრომელების, განსაკუთრებით მოზარდი თაობის, კომუნისტურად აღზრდაში კითხვის ხელმძღვანელობის ამალღების აუცილებლობით.

ბიბლიოთეკებისადმი მომთხოვნელობის ამალღება იწვევს მათში შრომის ორგანიზაციის სრულყოფას, პრაქტიკაში გაუმართლებელი ცალკეული ტექნიკური პროცესების შემცირების ან შეცვლის აუცილებლობას.

„მინიმუმის“ ახალი გამოცემის შედგენას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობისაგან წინადადებათა შეგროვების საქმეში.

„მინიმუმის“ მე-10 გამოცემაში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

1) აღდგენილია მკითხველთა ხელახალი რეგისტრაციის აღრიხდელი ყოველწლიური ვადა, რადგან მე-9 გამოცემაში რეკომენდებული 2 წელიწადში ერთხელ რეგისტრაციის ვადა გაუმართლებელი აღმოჩნდა:

2) წიგნადი ფონდის აღრიცხვის (ჯამობრივი აღრიცხვისა წიგნი) და ბიბლიოთეკის მუშაობის ფორმები (დღიური) შეესატყვისა სტატისტიკური ანგარიშგების ბლანკს—ფორმა № 6—HK-ს:

3) გამორიცხულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდების შემოწმების პერიოდულობა. შემოწმება ხდება მხოლოდ ერთი მუშაკისაგან მეორეზე ბიბლიოთეკის მთლიანად ან მისი ნაწილის გადაბარების დროს და საგანგებო შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად, სტიქიური უბედურება (ხანძარი, წყალდიდობა) და ა. შ.

4) აღდგენილია წიგნის ფორმულარი; 5) დამატებულია ახალი განყოფილებანი: „წიგნადი ფონდების დაკომპლექტება“, „ბიბლიოთეკების სპეციალიზებულ განყოფილებებში ნოტებისა და ხმის ჩასაწერი მასალების აღრიცხვა, დამუშავება და შენახვა“; 6) შემოღებულია საინვენტარო წიგნის ახალი ფორმა.

„მინიმუმი“ შედგება ორი ნაწილისაგან. ესენია: ა) ინსტრუქცია; ბ) აქტების, ვალდებულებების, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების სააღრიცხვო ფორმები და ნიმუშები.

კულტურის ორგანოები ვალდებული არიან მოაწყონ ბიბლიოთეკების მუშაკთა მიერ „მინიმუმის“ მე-10 გამოცემის შესწავლა და უზრუნველყონ პრაქტიკაში მისი დანერგვა.

„საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის“ მე-10 გამოცემის შედგენაში მონაწილეობდნენ: თ. ნ. აქსიონოვა, დ. კ. ჟაკი, მ. პ. ზარუბინა, ი. ვ. კასიანოვა, ლ. ვ. კოვალენკო, ლ. ნ. მალიკოვა, ლ. მ. მინინა, ვ. ვ. ნეიმანი, ვ. ვ. პეტროვსკი, ე. ვ. სმირნოვა, ნ. ა. სმირნოვა; რედაქტორები ნ. მ. მეტელკინი, ი. ვ. ტრუტნევა.

ქართული გამოცემის წინასიტყვაობა

„საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის“ მე-10 გამოცემაში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება როგორც საინსტრუქციო ნაწილში, ისე სააღრიცხვო ფორმებში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო რეკომენდაციას აძლევს რესპუბლიკის მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკებს „მინიმუმში“ შეტანილი ცვლილებების პრაქტიკაში დასანერგავად; ამასთან, მიზანშეწონილად თვლის ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნის წარმოების წესი შესაბამისი ფორმის მიხედვით დარჩეს ისე, როგორც ის არის მოცემული „მინიმუმის“ მე-9 გამოცემაში. რაც შეეხება ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმების ვადების საკითხს, რუსულ გამოცემასთან შედარებით, ქართულ გამოცემაში შეტანილია შესწორებანი.

1. წიგნადი ფონდის დაკომპლექტება

1. მასობრივი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დაკომპლექტება წარმოებს სსრკ კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული „ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების დაკომპლექტების წესის ძირითადი დებულებისა“ და სხვა უწყებების მიერ დამტკიცებული ანალოგიური ინსტრუქციების შესაბამისად.

2. მასობრივი ბიბლიოთეკის დაკომპლექტების ძირითად წყაროს წარმოადგენს საბიბლიოთეკო კოლექტორი.

დაკომპლექტების დამატებით წყარობად ბიბლიოთეკა იყენებს:

- ა) წიგნის მაღაზიებს, განყოფილებებს „წიგნი-ფოსტით“;
- ბ) გაცვლით — სარეზერვო ფონდებს;
- გ) ხელმოწერას პერიოდულსა და ხელმოწერით გამოცემებზე.

3. საქალაქო, სარაიონო, მსხვილ პროფკავშირულ, დამოუკიდებელ საბავშვო ბიბლიოთეკებს უნდა ჰქონდეთ დაკომპლექტების თემატური (ნიმუში № 1) და ოპერატიული გეგმები.

სასოფლო, საკოლმეურნეო, პროფკავშირული (რომელსაც ჰყავს ერთი მუშაკი), სასკოლო ბიბლიოთეკები ადგენენ პროფილსა და დაკომპლექტების ოპერატიულ გეგმას.

4. დაკომპლექტების ხელშეწყობის მიზნით დგება შემდეგი საცნობარო აპარატი.

ა) საქალაქო, სარაიონო, მსხვილ პროფკავშირულ (3—4 მუშაკით), დამოუკიდებელ საბავშვო ბიბლიოთეკებს უნდა ჰქონდეთ:

- 1) მიმდინარე და შემავსებელი დაკომპლექტების კარტოთეკა;
- 2) კითხვითი პროფილის კარტოთეკა;
- 3) პერიოდული და ხელმოწერითი გამოცემების სარეგისტრაციო კარტოთეკა;
- 4) ნაკრები კარტოთეკა პერიოდული გამოცემებისა, რომელთაც

შენიშვნა.

მიმდინარე დაკომპლექტების კარტოთეკის ნაცვლად დასაშვებია გამომცემლობათა თემატური გეგმების სახელობითი მაჩვენებლების გამოყენება.

ბ) სასოფლო, საკოლმეურნეო, სასკოლო და მცირე პროფკავშირულ ბიბლიოთეკებს უნდა ჰქონდეთ:

- 1) შემავსებელი დაკომპლექტების კარტოტეკა;
- 2) კითხვითი პროფილის კარტოტეკა;
- 3) პერიოდული და ხელმოწერითი გამოცემების კარტოტეკა.

5. ყოველწლიურად:

ა) საქალაქო, სარაიონო, მსხვილი პროფკავშირული და დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკები გამომცემლობათა თემატური გეგმებისა და შეკვეთის ბლანკების მიხედვით ადგენენ და დაწესებულ ვადებში საბიბლიოთეკო კოლექტორს აბარებენ შეკვეთებს გამოსაცემ ლიტერატურაზე.

ბ) სასოფლო, საკოლმეურნეო, მცირე პროფკავშირული და სასკოლო ბიბლიოთეკები სასემინარო მეცადინეობებზე ეცნობიან გამომცემლობათა თემატურ გეგმებს და იქვე ადგენენ შეკვეთებს.

6. მოზრდილთა სარაიონო ბიბლიოთეკა:

1) ადგენს რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკების ნაერთ შეკვეთას თითოეული სასოფლო ბიბლიოთეკის შეკვეთის ჩვენებით.

2) ასწორებს მცირე პროფკავშირული ბიბლიოთეკების შეკვეთებს;

3) ბიბლიოთეკების შეკვეთებს უთანხმებს საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო საბჭოს და უგზავნის საბიბლიოთეკო კოლექტორს.

7. სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა:

1) ასწორებს სასკოლო ბიბლიოთეკების შეკვეთებს, უთანხმებს სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებას და უგზავნის საბიბლიოთეკო კოლექტორს;

2) ეხმარება სასოფლო ბიბლიოთეკებს საბავშვო ლიტერატურაზე წინასწარი შეკვეთების შედგენაში.

8. გამომცემულ ლიტერატურაზე დამატებით შეკვეთებს მასობრივი ბიბლიოთეკები ადგენენ სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიისა და უარების აღრიცხვის საფუძველზე და გადასცემენ მათ საბიბლი-

ოთეკო კოლექტორს, წიგნის მალაზიას ან ბიბლიოთეკების გადვლით ფონდებს.

9. მიმდინარე წლის ბოლოს მასობრივი ბიბლიოთეკები ხელმოწერას პერიოდულ გამოცემებზე; ამ საქმეში ხელმძღვანელობენ კულტურის სამინისტროს, განათლების სამინისტროსა და მე-თოდური ცენტრების სარეკომენდაციო სიებით და ახდენენ ხელმოწერის კოორდინირებას მიკრორაიონის სხვა ბიბლიოთეკებთან.

10. ბიბლიოთეკები სისტემატურად წმენდენ ფონდებს გამოუყენებელი ლიტერატურისაგან, აგრეთვე დრომოკმული და შინაარსობრივად მოძველებული გამოცემებისაგან.

მოძველებული გამოცემები გაირიცხება, თანახმად სსრკ კულტურის სამინისტროს ინსტრუქციისა „სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, ორგანიზაციების ბიბლიოთეკების ფონდებიდან მოძველებული ლიტერატურის გარიცხვის წესის შესახებ“.

ბიბლიოთეკაში მრავალ ეგზემპლარად არსებული წიგნები, აგრეთვე მოცემული ფონდის დაკომპლექტების პროფილისათვის შეუფერებელი გამოცემები შეიძლება გადაეცეს სხვა ბიბლიოთეკებს, თანახმად სსრკ კულტურის სამინისტროს ინსტრუქციისა „სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ბიბლიოთეკების გამოუყენებელი ფონდებიდან ლიტერატურის უსასყიდლოდ გადაცემის წესის შესახებ“.

II. ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვა

ა) შემოსული გამოცემების მიღება

11. ბიბლიოთეკაში შემოსული წიგნები მიიღება თანხლები დოკუმენტით (ანგარიში, ზედნაღები, გადაცემის აქტი).

შენიშვნა.

აღნიშნული წესი არ ვრცელდება ჟურნალებსა და იმ გამოცემებზე, რომლებსაც ბიბლიოთეკა ხელმოწერით ღებულობს.

12. თუ მიღებული წიგნების წყებაში აღმოჩნდა დანაკლისი—დეფექტური ეგზემპლარები ან წიგნების ნაწილი შეცვლილია სხვა წიგნებით, დაუყოვნებლივ დგება აქტი ორ ეგზემპლარად (ნიმუში № 2).

აქტის პირველი ეგზემპლარი რჩება ბიბლიოთეკაში, ხოლო მეორე იგზავნება იმ დაწესებულებაში, საიდანაც იყო მიღებული წიგნწიგნები (საბიბლიოთეკო კოლექტორი, წიგნის მალაზია) მოთხოვნის შემთხვევაში—გამოგზავნილ იქნეს დანაკლისი ცალები, შეიცვალოს შეცდომით გამოგზავნილი ან დაზიანებული ეგზემპლარები.

ყველა დანარჩენი წიგნი უნდა აღირიცხოს და დამუშავდეს საერთო წესის მიხედვით.

შენიშვნა.

აქტი არ დგება იმ შემთხვევაში, თუ არის შესაძლებლობა აღმოჩენილი დანაკლისის შევსებისა რაიმე სხვა გზით (პირადი მისვლით ან ტელეფონის საშუალებით).

13. იმ წიგნებს, რომლებიც მიღებულია ბიბლიოთეკაში თანმხლები დოკუმენტის გარეშე (ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეებისაგან საჩუქრების სახით, მკითხველთა შორის და მოსახლეობაში შეგროვებით), ბიბლიოთეკისათვის მათი ვარგისიანობის შემოწმების შემდეგ დგება მიღების აქტი (ნიმუში № 3).

შენიშვნა.

აქტი გადაეცემა იმ დაწესებულების ბუხალტერიას, რომლის ბიუჯეტზედაც იმყოფება ბიბლიოთეკა. ბუხალტერიას ამ წიგნების რაოდენობა და ღირებულება გადააქვს ბიბლიოთეკის ბალანსზე.

14. მიღებული წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების ყველა ეგზემპლარს დაუყოვნებლივ უნდა დაესვას თეგი ბიბლიოთეკის დასახელებით. იგი უნდა იყოს სწორკუთხედის ფორმისა, ზომით 1,5×4 სმ (ნიმუში № 4). ამ მიზნით მრგვალი ბეჭდის გამოყენება აკრძალულია.

თეგი უნდა დაისვას თავფურცლის მეორე მხარეს და მე-17 გვერდზე, ტექსტის ქვემოთ, მარცხენა ქვედა კუთხეში.

ამასთან, ტექსტისა და ილუსტრაციების დაზიანება დაუშვებელია.

ა) ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვის სახეები და ფორმები

15. თითოეულ მასობრივ ბიბლიოთეკაში გამოიყენება ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვის შემდეგი სახეები:

ა) ინდივიდუალური და ბ) ჯამობრივი

16. ინდივიდუალური აღრიცხვის წიგნი თითოეული ეგზემპლა-

შენიშვნა.

საინვენტარო წიგნში ჩაწერილი ყველა გამოცემის ღირებულება ბუხბალტერის გადააქვს ბიბლიოთეკის ბალანსზე.

17. ჯამობრივი აღრიცხვა იძლევა საერთო ცნობებს ბიბლიოთეკის ფონდის შესახებ, მის შემადგენლობასა და მასში მომხდარ ცვლილებებზე. ჯამობრივ აღრიცხვაში ტარდება ყველა გამოცემა, რომლებიც შეადგენს ბიბლიოთეკის ფონდს.

ჯამობრივი აღრიცხვის ფორმას წარმოადგენს ბიბლიოთეკის ფონდის ჯამობრივი აღრიცხვის წიგნი, რომელიც შედგება სამი ნაწილსაგან:

1. შემოსვლა.

2. ამოღება.

3. ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის ჯამი.

18. დროებითი მნიშვნელობის ბროშურები¹ და პერიოდული გამოცემები საინვენტარო წიგნში არ ტარდება და არც ბიბლიოთეკის ბალანსზე გადაიტანება. ბროშურების რეგისტრაცია ხდება ბარათებზე, სადაც ნაჩვენებია უნდა იყოს: ავტორი, სათაური, გამოცემის წელი, ფასი და ბიბლიოთეკაში მიღებულ ეგზემპლართა რაოდენობა. პერიოდული გამოცემები რეგისტრაციაში ტარდება ბარათებზე ან რვეულში (იხ. ფორმები № 4 და № 5).

19. დროებითი მნიშვნელობის ბროშურებს პირობითად მიეკუთვნება: ფურცლები გამოცდილების გაზიარების შესახებ, დროებითი ინსტრუქციები და სამახსოვროები, ბიბლიოგრაფიული ფურცლები, კითხვის გეგმები, შეჯიბრების წესები და სხვ.; ჟურნალების ბროშურა-დამატებანი („ოგონიოკის“, „კომსომოლსკაია პრადას“, „კროკოდილის“ მცირე ბიბლიოთეკები, ჟურნალ „იუნი ტექნიკის“ დამატებანი და სხვა.).

უამოსული გამოცემების ჯამობრივი აღრიცხვა

20. ბიბლიოთეკაში ერთი დოკუმენტით შემოსული წიგნებისა და ბროშურების თითოეული პარტია ჩაიწერება ბიბლიოთეკის ფონდის

¹ დროებითი მნიშვნელობის ბროშურებს შემდეგში შემოკლებით ეწოდება „ბროშურები“.

ჯამობრივი აღრიცხვის წიგნის პირველ ნაწილში, ცალკე სტრიქონზე, რიგითი ნომრის მიხედვით (ფ. № 1). ჯამობრივი აღრიცხვის წიგნის პირველი ნაწილის რიგითი ნომრები ყოველწლიურად იწყება № 1-ით აღინიშნება მხოლოდ იმ წიგნების ღირებულება, რომლებიც უნდა გატარდეს საინვენტარო წიგნში.

შენიშვნა.

წიგნების ღირებულებაში არ შედის ზედნადები ხარჯები (ბიბლიოთეკური დამუშავებისა თუ აკინების ღირებულება, შესრულებული ბიბლიოთეკის ან საბიბლიოთეკო კოლექტორის მიერ, საფოსტო და სატრანსპორტო ხარჯები).

21. ბიბლიოთეკაში შემოსული ბროშურების რაოდენობა ღირებულების ჩვენების გარეშე ჩაიწერება მე-9 სვეტში, შემდეგ კი წიგნები თანაბრად განაწილდება შინაარსის მიხედვით.

22. ბიბლიოთეკაში ხელმოწერით მიღებულ ჟურნალებზე დგება აქტი წელიწადში ერთხელ (იხ. პ.36, შენიშვნა 2). ამ აქტის საფუძველზე ჟურნალების რაოდენობა ღირებულების უჩვენებლად ჩაიწერება ჯამობრივი აღრიცხვის წიგნის მე-10 სვეტში, შემდეგ კი წიგნებისა და ბროშურების თანაბრად განაწილდება შინაარსის მიხედვით.

23. მოზრდილთა ბიბლიოთეკაში, რომელიც ემსახურება ბავშვებს, წიგნები სკოლამდელთათვის და I—VIII კლასების მოსწავლეთათვის აღირიცხება ცალკე არსებულ ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში.

24. ყოველი წლის ბოლოს შეჯამდება წლის განმავლობაში შემოსული გამოცემები და გადაიტანება ბიბლიოთეკის ფონდის ჯამობრივი აღრიცხვის წიგნის მე-3 ნაწილში (ფ. № 1).

შენიშვნა.

იმ ბიბლიოთეკებში, სადაც დიდი რაოდენობის გამოცემები შემოდის, შეიძლება ჯამობრივი აღრიცხვის მონაცემები შეჯამდეს კვარტალურად ან ნახევარწლიურად. ეს წესი ეხება 34, 36, 46 პუნქტებსაც.

წიგნების ინფორმალური აღრიცხვა

25. საინვენტარო წიგნი (ფ. № 2) ბიბლიოთეკების უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია და ინახება ფულადი დოკუმენტების თანაბრად. მთელი ფონდისათვის იგი უნდა იყოს ერთიანი, მიუხედავად ბიბლიოთეკაში არსებული განყოფილებებისა (სააბონემენტო, სამკითხველო დარბაზი და ა.შ.).

შენიშვნები:

1. ცალკე საინვენტარო წიგნების წარმოება დაიშვება ეროვნული ენე-

ბის განყოფილების ფონდის, მიქრავი ფონდისა და საბავშვო განყოფილების ფონდისათვის.

2. ერთიან საინვენტარო წიგნში შეტანილი წიგნების აღრიცხვითი-თეკის განყოფილებებზე (მაგალითად, სამკითხველო დარბაზზე) ცემის დროს წარმოებს ან ბარათების საშუალებით, რომლებიც დგება თითოეულ წიგნზე მისი მოკლე აღწერით (საინვენტარო ნომერი, ავტორი, სახელწოდება, ფასი), ან ცალკე რეეულში, გადაცემის თარიღის აღნიშვნით და გადასაცემი წიგნების საინვენტარო ნომრების ჩამოთვლით. განყოფილების გამგე წიგნების მიღებაზე ხელს აწერს ბარათებზე (ან რეეულში). ბარათები (რეეული) ბიბლიოთეკის გამგესთან ინახება.

26. საინვენტარო წიგნის ბოლოს უნდა იყოს შემდეგი ფორმის დამადასტურებელი წარწერა: „ამ საინვენტარო წიგნში არის (აღნიშნოს რაოდენობა) დანომრილი გვერდი, რაც დასტურდება ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით. „თარიღი. ხელმოწერა. ბეჭედი. დამადასტურებელ წარწერას სარაიონო და საქალაქო ბიბლიოთეკებისათვის აკეთებს სარაიონო (საქალაქო) კულტურის განყოფილება, სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის—სასოფლო საბჭო, სხვა ბიბლიოთეკებისათვის—ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფება ბიბლიოთეკა.“

27. საინვენტარო წიგნის შევსებისას დამადასტურებელი წარწერის ქვეშ კეთდება ახალი, შემდეგი შინაარსის წარწერა: „ამ საინვენტარო წიგნში ჩაწერილია წიგნები №—დან №მდე“. თარიღი. ბიბლიოთეკის გამგის ხელის მოწერა. ბეჭედი.

28. საინვენტარო წიგნში ჩაწერა უნდა ხდებოდეს სუფთად, გარკვეული ხელით და აუცილებლად მელნით. ამოშლა დაუშვებელია. შეცდომების გასწორება უნდა დადასტურდეს სვეტში „შენიშვნები“ და დამოწმდეს ბიბლიოთეკის გამგის ხელის მოწერით.

29. საინვენტარო წიგნის ყოველ გვერდზე წინასწარ, მასში წიგნების ჩაწერამდე, უნდა ჩაიწეროს 25 მორიგი საინვენტარო ნომერი.

30. საინვენტარო წიგნში გასატარებელი წიგნების ყოველი ეგზემპლარი ჩაიწერება საინვენტარო წიგნის ცალკე სტრიქონზე და იღებს მხოლოდ მასზე მიკუთვნებულ საინვენტარო ნომერს. იგივე ნომერი აღინიშნება თვით წიგნზედაც—თავფურცელზე (ან თავფურცლის უკანა მხარეს) და მე-17 გვერდზე.¹

31. საინვენტარო წიგნში ჩასაწერად საჭირო ცნობები, როგორც წესი, აღებულ უნდა იქნეს თავფურცლიდან, და არა გარეკანიდან ან საგამომცემლო ყდიდან.

¹ რეკომენდებულია საინვენტარო ნომრის დასმა სანომრით.

32. საინვენტარო წიგნში ჩაწერისას ნაჩვენები უნდა იქნეს თოეული წიგნის ღირებულება მასზე დასმული ფასის ან თანმსლები დოკუმენტის (ანგარიში, ანგარიშის პირი, აქტი) შესაბამისად. 1961 წლამდე გამოცემული წიგნების ღირებულება ნაჩვენები უნდა იქნეს ახალი ფასით.

შენიშვნები:

1. ბუკინისტურ მაღაზიებში შექმნილი წიგნების ღირებულება აღინიშნება თითოეულ წიგნზე მაღაზიის მიერ დადებული ფასის შესაბამისად.
2. ბიბლიოთეკაში უფასოდ მიღებული წიგნები, რომლებსაც არა აქვთ მითითებული ღირებულება, ფასდება: ყოველი ათი გვერდი 2-დან 5 კაპიკამდე (გამოცემის ხარისხის მიხედვით), მიღებული ჯამის ერთ კაპიკამდე დამრგვალებით.
3. იშვიათი და ძვირფასი გამოცემების შეფასება, რომელთა ღირებულება არაა აღნიშნული, ხდება მხოლოდ რესპუბლიკურ და საოლქო ბიბლიოთეკებში, კოლექტორში ან ბუკინისტურ მაღაზიაში კონსულტაციის მიღების შემდეგ.
4. თუ ინვენტარიზაციის შემდეგ მოხდა წიგნის დაყდავება, საინვენტარო წიგნში მისი ფასი არ შეიცვლება.

33. ერთი და იმავე წიგნის რამდენიმე ეგზემპლარის (დუბლეტების) თანმიმდევრობით ჩაწერის დროს ყველა სვეტში, გარდა სვეტებისა „საინვენტარო ნომერი“ და „ფასი“, დაისმება ბრჭყალები. წიგნის ფასი აღინიშნება ყველა შემთხვევაში.

შენიშვნა.

დუბლეტების ჩანაწერების შემდეგ გვერდზე გადატანის დროს ცნობები წიგნის შესახებ ხელახლა მეორდება ყველა სვეტში.

34. ხელმოწერითი გამოცემების მორიგი ტომების მიღებისას ისინი დაუყოვნებლივ ჩაიწერება ინვენტარში რიგითი საინვენტარო ნომრით. მორიგი ტომების (წიგნების, ნაკვეთის) დროულად გამოცემაზე კონტროლის მიზნით ხელმოწერითი გამოცემები დამატებით აღირიცხება სპეციალურ ბარათებზე (ფ. №3). ბარათის მეორე გვერდზე აღინიშნება მიღებული ტომების (წიგნების, ნაკვეთების) საინვენტარო ნომრები. ხელმოწერით გამოცემათა ყველა მიღებულ და ინვენტარში ჩაწერილ ტომებზე ნახევარ წელიწადში ან წელიწადში ერთხელ დგება აქტი. აქტი შეიტანება ბიბლიოთეკის ფონდის ჯამობრივი აღრიცხვის წიგნის I ნაწილში. მე-3 სვეტში ჩაიწერება: „ხელმოწერითი გამოცემები წელიწადში...“

35. წიგნები უსინათლოთათვის, ატლასები, რეპროდუქციების ალბომები და სხვა მსგავსი მასალები ჩაიწარება ერთიან საინვენტარო წიგნში.

შენიშვნა.

სპეციალური მუსიკალური განყოფილების მქონე ბიბლიოთეკებისა და ხმის ჩასაწერი მასალების (გრამფირფიტებისა და მაგნიტოფონის ლენტების) აღრიცხვის წესები იხ. VIII განყ.

პერიოდულ გამოცემათა რეგისტრაცია

36. ჟურნალების მორიგი ნომრების დროზე მიღების კონტროლისათვის ჟურნალების ყველა მიღებული ნომერი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღნიშნული ჟურნალების სარეგისტრაციო ბარათებში (ფ. №4) ან ხელმოწერით მიღებული ჟურნალების სარეგისტრაციო რეგულში (ფ. №5).

შენიშვნები:

1. სარეგისტრაციო ბარათის მეორე მხარეს აღინიშნება, როდის და ვის ჩაბარდა ხელმოწერა, ქვეთრის ნომერი, ხელმოწერის ღირებულება, ვადა და პირობები.
2. ყოველი წლის ბოლოს სარეგისტრაციო ბარათების ან რეგულის მიხედვით დაითვლება ბიბლიოთეკაში მიღებული სქელტანიანი ჟურნალების ყველა ნომერი („მნათობის“, „ცისკარის“, „ოქტიაბრის“, „ნოვი მირის“, „ვოპროსი ფილოსოფიისა“ და ა. შ. ტიპისა). დაითვლება აგრეთვე დაუდავებელი ან კომპლექტებად შეკრული თხელტანიანი ჟურნალები („დროშის“, „საბჭოთა ქალის“, „პიონერის“, „ოგონიოკის“, „კროკოდლის“, „სმენას“, „ნოვო ვრემის“, „რაბოტნიცას“, „მურზილას“ და ა. შ. ტიპისა).

ამ შეკამების საფუძველზე დგება აქტი შემოსული ჟურნალების გამობრივი აღრიცხვის წიგნში გასატარებლად. აქტი ბუხჰალტერიას არ გადაეცემა.

37. გაზეთების მორიგი ნომრების თავის დროზე მიღების კონტროლისათვის შეიძლება გაზეთების სარეგისტრაციო ბარათების გამოყენება (ფ. № 6). ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში ცნობები გაზეთების შესახებ არ შეიტანება.

38. ერთი წყება წიგნების მიღების, ბიბლიოთეკის ფონდის ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში მათი ჩაწერის (იხ. პპ. 20—24) და საინვენტარო წიგნში გატარების (იხ. პპ. 30—35) შემდეგ თანმხლებ დოკუმენტზე (ან აქტზე) კეთდება შემდეგი სახის წარწერა:

„წიგნები——ეგზემპლარის რაოდენობით, ღირებული——მან. ———კაპ, მიღებულია, ჩაწერილის ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში №——ით და საინვენტარო წიგნში №——ით. გარდა ამისა, მიღებულია დროებითი მნიშვნელობის ბროშურები——ეგზემპლარი, ღირებული——მან, ———კაპ, რომლებიც არ ტარდება საინვენტარო წიგნში. თარიღი——ბიბლიოთეკის გამგის ხელის მოწერა.“

შენიშვნა.

თანხლები დოკუმენტი (ან აქტი) ხელწერილის ქვეშ გადაეცემა იმ დაწესებულების ან ორგანიზაციის ბუხალტერიას, რომლის გამგებლობაშიც იმყოფება ბიბლიოთეკა. ხელწერილი ფორმდება ბუხალტერიისათვის ფურცლი დოკუმენტების გადაცემის აღრიცხვის რეგულში (ფ. № 25).

3) გაცემის წიგნების, ბროშურებისა და ჟურნალების აღრიცხვა

39. ბიბლიოთეკიდან ამა თუ იმ მიზეზით ამოღებულ წიგნებზე დგება აქტი ორ ცალად (ნიმუში № 5). თითოეულ აქტში შეიტანება მხოლოდ რომელიმე ერთი მიზეზით ამოღებული წიგნები. ამოღებული წიგნების სია დგება მხოლოდ ერთ ცალად.

შენიშვნა.

თუ ამოსაღებია არა უმეტეს სამი წიგნისა, მათი ჩამოთვლა შეიტანება აქტის ტექსტში.

40. ყველა აქტს ამტკიცებს ზემდგომი დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომლის გამგებლობაშიც შედის ბიბლიოთეკა. დაწესებულების ან ორგანიზაციის ბეჭედდასმული დამადასტურებელი წარწერა უნდა იყოს აქტის ორივე ეგზემპლარზე, აგრეთვე აქტის პირველი ეგზემპლარისათვის დართულ წიგნების სიაზე.

აქტის პირველი ეგზემპლარი წიგნების სიასთან ერთად აიკინძება და ბიბლიოთეკაში ინახება მუდმივად, როგორც წიგნების გარიცხვის გასამართლებელი დოკუმენტი. მეორე ეგზემპლარი ინახება იმ დაწესებულებაში (ორგანიზაციაში), რომელმაც დაამტკიცა აქტი.

შენიშვნა.

წიგნების ამოღებაზე შედგენილი აქტების საფუძველზე ბუხალტერია გარიცხული წიგნების ღირებულებას ბალანსიდან ხსნის.

41. მოძველებული და გაცვეთილი წიგნები აქტით ჩაბარდება მაკულატურას. აქტზე უნდა იყოს ხელმოწერა წიგნების მიღების შესახებ. მაკულატურაში მიღებული ფული უნდა ჩაბარდეს იმ დაწესებულების ან ორგანიზაციის ბუხალტერიას, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფება ბიბლიოთეკა.

42. იმ წიგნის გარიცხვის შემთხვევაში, რომელიც არ დააბრუნა საცხოვრებელი პუნქტიდან წასულმა მკითხველმა, აქტს უნდა დაერთოს მკითხველის წასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა სამისამართო მაგიდიდან, სოფლის საბჭოდან და ა. შ.).

43. უკვალოდ დაკარგული წიგნების აქტს დასამტკიცებლად გავ-

ზავნამდე განიხილავს ბიბლიოთეკის საბჭო, რომელმაც უნდა მიიტყოს თავისი დასკვნა მათი ჩამოწერის შესახებ.

44. იმ ბროშურებისა და ჟურნალების გარიცხვის ჯამობრივი აღრიცხვისათვის, რომლებიც აღარაა საჭირო ბიბლიოთეკის მუშაობისათვის, დგება აქტი, რომელიც მტკიცდება ბიბლიოთეკის საბჭოს მიერ. აქტში (ნიმუში № 6) ნაჩვენებია უნდა იყოს მხოლოდ გამოცემათა საერთო რაოდენობა და მათი განაწილება კლასიფიკაციის განყოფილებათა მიხედვით. გარიცხული ბროშურები და ჟურნალები ბარდება მაკულატურას (იხ. პ. 41).

45. ცნობები გარიცხული წიგნებისა და ბროშურების შესახებ იწერება ბიბლიოთეკის ფონდის ჯამობრივი აღრიცხვის წიგნის მეორე ნაწილში, სადაც თითოეულ აქტს დაეთმობა თითო სტრიქონი. ჯამობრივი აღრიცხვის წიგნის მეორე ნაწილში ჩანაწერების რიგითი ნომრები წლიდან წლამდე გრძელდება.

46. ყოველი წლის ბოლოს შეჯამდება წლის განმავლობაში გარიცხული წიგნები და ბროშურები. ჯამი გადაიტანება ბიბლიოთეკის ფონდის ჯამობრივი აღრიცხვის წიგნის მე-3 ნაწილში.

47. საინვენტარო წიგნის სვეტში „გარიცხვის აქტის № — და თარიღი“ აღინიშნება აქტის ნომერი და მისი დამტკიცების წელი, მაგალითად: 29/68 წ. გარიცხული წიგნების საინვენტარო ნომერი და ფასი წაიშლება ხაზის გასმით.

48. წიგნების გარიცხვისას ანბანური კატალოგის ბარათებზე უნდა წაიშალოს სათანადო საინვენტარო ნომრები; თუ გაირიცხება მოცემული სახელწოდების უკანასკნელი ეგზემპლარი, მასზე შემდგარი საკატალოგო ბარათები ყველა კატალოგიდან უნდა იქნეს ამოღებული.

49. გარიცხული ბროშურების ბარათები ამოიღება ბროშურების ანბანური კარტოთეკიდან, აგრეთვე ბიბლიოთეკის ყველა კატალოგიდან და კარტოთეკიდან, სადაც ისინი იყო მოთავსებული.

დ) იმ წიგნების აღრიცხვა, რომლებიც მიღებულია მკითხველებისაგან მათ მიერ დაკარგულთა ნაცვლად

50. მკითხველების მიერ დაკარგულთა ნაცვლად მოტანილი წიგნები ჩაიწერება „დაკარგულის ნაცვლად მკითხველთაგან მიღებული წიგნების აღრიცხვის რეგულში“ (ფ. № 7). ეს წიგნები დაუყოვნებლივ

ჩაიწერება საინვენტარო წიგნში რიგითი საინვენტარო ნომრით. სვე-
ტში „ბიბლიოთეკის ფონდის ჯამობრივი აღრიცხვის ჩაწერის № —
აღინიშნება „სამაგიერო № —“.

51. დაკარგულთა ნაცვლად მიღებული წიგნების სააღრიცხვო
რეგულში ჩანაწერების საფუძველზე ყოველი წლის ბოლოს დგება
ორი აქტი:

ა) აქტი ბიბლიოთეკიდან გასული ლიტერატურის გარიცხვაზე
(ნიმუში № 5).

ბ) აქტი დაკარგულთა ნაცვლად მკითხველებისაგან მიღებული წა-
გნების შემოსვლაზე (ნიმუში № 3).

აქტი დაკარგული წიგნების გარიცხვაზე, მისი დამტკიცების შემ-
დეგ, იწერება ჯამობრივი აღრიცხვის წიგნის მეორე ნაწილში, რის
შემდეგ წიგნები გაირიცხება საინვენტარო წიგნიდან.

აქტი იმ წიგნების მიღებაზე, რომლებიც დაკარგულთა ნაცვლად
შემოვიდა, წარმოადგენს საფუძველს მათ ჩასაწერად ჯამობრივი აღ-
რიცხვის წიგნის პირველ ნაწილში.

* * *

კ251.090
3

52. ბიბლიოთეკებში, რომლებსაც აქვთ განყოფილებები (სააბო-
ნემენტო, სამკითხველო დარბაზი, ეროვნულ ენებზე არსებული
წიგნების განყოფილება და ა. შ.), გარდა ბიბლიოთეკის მთლიანი
ფონდის ჯამობრივი აღრიცხვის წიგნისა, რეკომენდებულია დამატე-
ბითი ჯამობრივი აღრიცხვის წიგნების წარმოება თითოეული განყო-
ფილების სახელდახელო ფონდისათვის.

53. საბიბლიოთეკო ფონდის ხელახალი ინვენტარიზაცია ან საინ-
ვენტარო წიგნის გადაწერა შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემ-
თხვევებში: კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკებში
მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოს აღმასკომის
კულტურის სამმართველოს, მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბ-
ლიკის კულტურის სამინისტროს განსაკუთრებული ნებართვით; სა-
ოლქო ბიბლიოთეკებში—კულტურის საქალაქო სამმართველოს, ხო-
ლო სხვა უწყებათა ბიბლიოთეკებში—ზემდგომი ორგანიზაციების
დადასტურების ნებართვით, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფე-
ბიან ბიბლიოთეკები.

ს ა ქ ა რ თ ე შ ე ლ ო ს
კ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
ე რ ო ვ ნ უ ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

54. ბიბლიოთეკის ფონდში შემავალი ყველა წიგნი, ბროშურა და ჟურნალი კლასიფიცირებულ უნდა იქნეს მასობრივი ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილების მიხედვით.

შენიშვნა.

სასოფლო ბიბლიოთეკებში საბავშვო ლიტერატურა კლასიფიცირდება საბავშვო ბიბლიოთეკებისათვის არსებული ცხრილების მიხედვით

55. საავტორო ნიშნების განსაზღვრა ხდება მოცემულ რესპუბლიკაში მიღებული საავტორო ცხრილების მიხედვით.

56. კლასიფიკაციისა და საავტორო ნიშნის განსაზღვრის შემდეგ, თითოეული წიგნის თავფურცელზე (ან თავფურცლის მეორე მხარეს) ფანქრით აღინიშნება შიფრი (ინდექსი და საავტორო ნიშანი.).

შენიშვნა.

თუ წიგნზე დაბეჭდილია საკლასიფიკაციო ინდექსი, ბიბლიოთეკარი გამოიყენებს მას მოცემულ ბიბლიოთეკაში გამოყენებულ საკლასიფიკაციო ცხრილთან წინასწარ შეჯერების შემდეგ.

IV. ბიბლიოთეკის კატალოგები

57. თანახმად სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ინსტრუქციისა „მასობრივი ბიბლიოთეკების კატალოგებისა და კარტოთეკების შესახებ“, ყოველ ბიბლიოთეკაში უნდა იყოს კატალოგი და კარტოთეკა.

შენიშვნა.

ბროშურების აღწერილობანი ჩაირთვება ბიბლიოთეკის კატალოგებსა და კარტოთეკებში.

58. წიგნებისა და სხვა გამოცემათა აღწერილობა წარმოებს თანახმად ინსტრუქციისა „ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერილობისა და ანბანური კატალოგის ორგანიზაციის ერთიანი წესები პატარა ბიბლიოთეკებისათვის“ ან მოცემულ რესპუბლიკაში დამტკიცებული ანალოგიური წესების საფუძველზე.

59. წიგნების აღწერილობისათვის გამოიყენება სტანდარტული ფორმის საკატალოგო ბარათები (ფ. № 8).

60. ახლად შემოსული გამოცემების ბარათები დაუყოვნებლივ



უნდა ჩაიწყოს ბიბლიოთეკის კატალოგებში. ბიბლიოთეკიდან გამოცემების გასვლის შემთხვევაში კატალოგებში შეიტანება შესაბამისი ცვლილებანი (იხ. პპ. 48 და 49);

61. წიგნების შერჩევისათვის მკითხველები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ კატალოგებით. ისინი კარგად უნდა გაფორმდეს და მოთავსდეს თვალსაჩინო და მოხერხებულ ადგილზე. კატალოგების ახლოს გაიკვრება მათი გამოყენების მოკლე წესები.

V. ბიბლიოთეკური დამუშავება

62. ბიბლიოთეკის ფონდში შემავალი წიგნები, ბროშურები და ჟურნალები უნდა დამუშავდეს. წიგნებზე დაისმის თეგი (იხ. პ. 14), ჩაიწერება საინვენტარო ნომერი (იხ. პ. 30) და შიფრი (იხ. პ. 56).

ყველა წიგნზე, ბროშურასა და ჟურნალზე შეივსება ფორმულარი (ფ. № 9), აგრეთვე დაეწებება ჯიბაკი (ფ. № 10) და დაბრუნების ვადის საკონტროლო ფურცელი (ფ. № 11).

63. წიგნის ფორმულარზე აღინიშნება: შიფრი, საინვენტარო ნომერი, ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის სახელწოდება, ფასი და გამოცემის წელი. მრავალტომიანი გამოცემების ფორმულარზე აღინიშნება აგრეთვე ტომის (ნაწილის ან ნაკვეთის) ნომერი.

64. ჯიბაკი წიგნის ფორმულარის შესანახად უნდა დაწებდეს ყდის ან გარეკანის შიდა მხარეზე, ქვედა კიდიდან 2 სმ დაშორებით. წიგნის დაბრუნების ვადის საკონტროლო ფურცელი უნდა დაწებდეს ფორზაცზე,¹ ხოლო თუ ის არ არის,—ყდის ან გარეკანის შიდა მხარის ზედა ნაწილზე (წიგნის ყუის ახლოს).

შენიშვნა.

თუ ფორზაცზე ილუსტრაციებია. ჯიბაკი და დაბრუნების ვადის საკონტროლო ფურცელი უნდა დაწებდეს ფორზაცის მეორე მხარეზე.

65. იარლიყი წიგნის შიფრის აღნიშვნით სქელ წიგნზე უნდა დაწებდეს წიგნის ყუაზე² მისი ქვედა კიდიდან 2 სმ დაშორებით. თხელ წიგნებზე იარლიყი უნდა დაწებდეს ყდის ან გარეკანის მარცხე-

¹ ფორზაცი—ქალაქის ორმაგი ფურცლები, რომლებსაც ერთი ნახევრით აწებებენ ყდის შიდა მხარეს, მაშინ როდესაც მეორე ნახევარი თავისუფალი რჩება (წიგნის ყდასა და თავფურცელს შორის, წიგნის ყდასა და უკანასკნელ ფურცელს შორის).

² იარლიყის ნაცვალად სქელი წიგნების ყუაზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს რელიეფური წარწერა სპეციალური პასტით.

ნა ზედა კუთხეში. ღია ფერის ყდასა და გარეკანზე წიგნის შეიქმნა დაიწეროს უშუალოდ ყდაზე ან გარეკანზე უიარაღოდ

შენიშვნა.

შიფრის დაწერა ან იარლიყის დაწებება არაა სავალდებულო იმ წიგნებისათვის, რომელთა გარეგნული გაფორმება იძლევა თაროზე მათი ადვილად მოძებნის შესაძლებლობას (მაგალითად, ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტომებისათვის, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიისათვის და ა. შ.).

66. ყურნალებსა და ბროშურებზე თეგი დაისმის მხოლოდ გარეკანზე ან ტექსტის პირველ გვერდზე. დანარჩენი სახის დამუშავება წარმოებს ჩვეულებრივი წესით.

VI. ფონდის გაწყობა

67. წიგნები ბროშურებთან ერთად თაროებზე გაიწყობა მიღებული კლასიფიკაციის შესაბამისად. ერთნაირი თაროს ინდექსების მქონე წიგნები და ბროშურები განლაგდება ანბანური წესით (საავტორო ნიშნების მიხედვით);

68. ბიბლიოთეკის ფონდთან მკითხველების ღია დაშვების პირობებში სისტემატურ-ანბანურ განლაგებასთან ერთად იყენებენ წიგნების თემატურ განლაგებას. რეკომენდებულია მონათესავე განყოფილება. მაგალითად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის მთელი კომპლექსისა (განყოფილებანი 1, 2, 3, 9); საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო თემატიკის კომპლექსისა და ა. შ.

69. წიგნები სხვადასხვა ენებზე თაროებზე გაიწყობა ცალ-ცალკე.

70. წიგნები თაროებზე დალაგდება მარცხნიდან მარჯვნივ. ყოველი თაროს ბოლოს უნდა იქნეს დატოვებული თავისუფალი ადგილი ახლად მიღებული წიგნებისათვის. წიგნების ვერტიკალური მდგომარეობის დასაცავად გამოიყენება წიგნსაყენები, რომლებიც დაიდგმება წიგნების რიგის ბოლოს.

71. ყოველი სტელაჟის ლავგარდანზე აღინიშნება, თუ რომელ განყოფილებას მიეკუთვნება მასზე განლაგებული წიგნები. მოსახლვრე განყოფილებათა წიგნები გამოიყოფა გამყოფებით, რომლებზედაც ნაჩვენები უნდა იყოს განყოფილების ინდექსი და დასახელება.

თაროებზე მხატვრულ ნაწარმოებთა განლაგებისას რეკომენდე-

ბულია ანბანურ გამოფთან ერთად გამოყენებულ იქნეს პერსონალური გამოფთები, განსაკუთრებით პოპულარულ ავტორთათვის.

72. ჟურნალები და გაზეთები გაიწყობა წიგნებისაგან განცალკევებით, მათი სახელწოდების ანბანურ რიგზე, ყოველი დასახელების შიგნით კი—გამოცემის წლებისა და ნომრების მიხედვით.

შენიშვნა.

მიმდინარე წლის ჟურნალები და გაზეთები გაიწყობა გასული წლების ჟურნალებისა და გაზეთებისაგან განცალკევებით, გაცემის ადგილთან ახლოს.

73. საცნობარო გამოცემები (ლექსიკონები, ენციკლოპედიები და სხვ.) გამოიყოფა ცალკე თაროებზე.

74. საბავშვო ბიბლიოთეკებში, აგრეთვე ყველა ბიბლიოთეკაში, რომლებიც ემსახურებიან ბავშვებს (მიუხედავად იმისა, არის თუ არა მათში საბავშვო განყოფილებანი), საბავშვო წიგნები განლაგდება „საბავშვო ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილების“ მეთოდურ მითითებათა შესაბამისად.

VII. წიგნების ღაცვა, ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება

75. წიგნებისა და ბიბლიოთეკის ფონდის სხვა მასალების ნაადრევი გაცვეთის, დაზიანებისა და დაკარგვის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ყველა ბიბლიოთეკა ვალდებულია ზუსტად შეასრულოს ფონდის დაცვის წესები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ინსტრუქციაში „ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების დაცვის შესახებ“.

76. ბიბლიოთეკის წიგნები, როგორც წესი, დაყდავებული უნდა იყოს. ბიბლიოთეკაში სისტემატურად უნდა ხდებოდეს წიგნების სახელდახელო და მიმდინარე შეკეთება (დახეული და ამოვარდნილი ფურცლების ჩაწებება, ყდის დაწებება და სხვ.).

ყოველთვიური, ე.წ. „სქელტანიანი“ ჟურნალები („ოქტიაბრ“, „ზნამია“, „ნოვი მირ“, „მნათობი“, „ცისკარი“ და სხვ.) რეკომენდებულია აიკინძოს ტომების მიხედვით. დანარჩენი ჟურნალები უნდა დაყდავდეს (ან შეიკრას) 3—6 ნომერი ერთად. თითოეული კომპლექტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 18—20 ნაბეჭდ თაბახს.

77. წიგნადი ფონდის შემოწმება ხდება შემდეგ ვადებში:

ა) ბიბლიოთეკებში, რომელთა წიგნადი ფონდი 10.000-მდე ტომს შეადგენს, 5 წელიწადში ერთხელ;

ბ) თუ ფონდი 10,000-დან 50 000-მდე ტომს შეადგენს, 10 წელიწადში ერთხელ, ხოლო თუ ფონდი 50 000-ზე მეტ ტომს შეადგენს, მისი მთლიანი შემოწმება ხდება განსაკუთრებულ შემთხვევაში, მოკავშირე რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ნებართვით.

შენიშვნა.

ბიბლიოთეკის ფონდის რაოდენობრივი შემადგენლობის მიუხედავად, ფონდის შემოწმება ყოველთვის ხდება გამგის შეცვლისა და ისეთ საგანგებო შემთხვევაში, როგორცაა სტიქიური მოვლენები (ხანძარი, წყალდიდობა) და სხვა.

78. შემოწმება შეიძლება ჩატარდეს საინვენტარო წიგნის ჩანაწერებთან წიგნების უშუალო შედარებით ან საკონტროლო ტალონების დახმარებით.

79. შემოწმება წარმოებს გეგმით და იმ ვადებში, რომლებიც დამტკიცებულია დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ, რომლის გამგებლობაშიც იმყოფება ბიბლიოთეკა.

80. ბიბლიოთეკის ფონდის შესამოწმებლად იქმნება კომისია. მის შემადგენლობაში ბიბლიოთეკის მუშაკებთან ერთად აუცილებლად უნდა შედიოდნენ წარმომადგენლები იმ დაწესებულების ან ორგანიზაციისა, რომლის გამგებლობაშიც იმყოფება მოცემული ბიბლიოთეკა; აგრეთვე ბიბლიოთეკის საბჭოს წარმომადგენლები.

81. შემოწმების დამთავრების შემდეგ დგება აქტი (ნიმუში № 7), რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. აქტს განიხილავს მოცემული ბიბლიოთეკის საბჭო, შემდეგ კი დასამტკიცებლად წარედგინება იმ დაწესებულებას ან ორგანიზაციას, რომელიც ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის მუშაობას.

VIII. ნოტებისა და ხმის ჩასაწერი მასალების აღრიცხვა, დამუშავება და დაცვა ბიბლიოთეკის სპეციალიზებულ განყოფილებაში.

82. ნოტებისა და ხმის ჩასაწერი მასალების (გრამფირფიტებისა და მაგნიტოფონის ლენტების) მიღება, გარიცხვა და რაოდენობა აღინიშნება ბიბლიოთეკის ფონდის ჯამობრივი აღრიცხვის წიგნის სპეციალურ სვეტებში. მათი ინდივიდუალური აღრიცხვა წარმოებს ჩვეულებრივი ფორმის ცალკეულ საინვენტარო წიგნებში.

83. ამ მასალების გარიცხვა წარმოებს ჩვეულებრივი წესით.

84. ნოტებისა და ხმის ჩასაწერი მასალების კლასიფიკაცია წარ-

მოებს მუსიკალურ ნაწარმოებთა კლასიფიკაციის მოკლე ცხრილების მიხედვით.



85. ნოტებსა და ხმის ჩასაწერ მასალებზე უნდა შედგეს კატალოგები: ანბანური და სისტემატური, ამ მასალების თითოეული სახეობისათვის ცალკე. მათი აღწერილობის საფუძველს წარმოადგენს: სახელმძღვანელო: Краткие правила описания нот и звукозаписи. Для массовых библиотек. М. «Книга», 1965.

86. გრამფირფიტების შენახვა რეკომენდებულია კონვერტებში ან ალბომებში ჩაწყობილი სახით, ვერტიკალურ მდგომარეობაში. ხანგრძლივ დამკვრელი, განსაკუთრებით სტერეოფონური ფირფიტები, მტვრისაგან დამატებით დაცული უნდა იქნეს პოლიეთილენის პაკეტებით, ფირფიტების შენახვა გამთბობ მოწყობილობათა ახლოს დაუშვებელია.

IX. მკითხველთა ჩაწერა ბიბლიოთეკაში.

87. მკითხველების ჩაწერა და მათზე წიგნების გაცემა წარმოებს „მახობრივი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების“ საფუძველზე. წესები უნდა გაიკრას თვალსაჩინო ადგილას, რომ მათ აუცილებლად გაეცნოს ყველა მკითხველი.

თითოეული მკითხველი ხელს აწერს თავის ფორმულარში (პპ. № 14 და 15), რომ ის იცნობს წესებს და ვალდებულია შეასრულოს ისინი.

88. ჩაწერის დროს თითოეულ მკითხველზე შეივსება სარეგისტრაციო ბარათი, რომელშიც ჩაჩვენები უნდა იყოს: მკითხველის გვარი, სახელი და მამის სახელი, ჩაწერის თარიღი და ფორმულარის ნომერი. ბიბლიოთეკებში, სადაც არის განყოფილებები, წარმოებებს ერთიანი სარეგისტრაციო კარტოთეკა, რომელიც ემსახურება მკითხველთა ფაქტიური რაოდენობის დადგენას და მათზე ცნობების მიღებას.

შენიშვნა.

საბავშვო ბიბლიოთეკებში სარეგისტრაციო ბარათების ნაცვლად გამოიყენება მკითხველთა განცხადება მშობლების თვდებობით (ფ. № 13). განცხადება-თვდებობანი განლაგდება გვარების ანბანურ რიგზე ამ სკოლებისა და კლასების მიხედვით, შემდეგ კი გვარების ანბანურ რიგზე.

89. ბიბლიოთეკის თითოეულ განყოფილებაში (სააბონემენტო, სამკითხველო დარბაზი და სხვა) იმ მკითხველზე, რომელსაც სურს განყოფილების ფონდით სარგებლობა, ივსება ფორმულარი (ფ. № 14 ან 15).



90. მკითხველთა ხელახალი რეგისტრაცია წარმოებს ყოველწლიურად. ხელახლა რეგისტრირებულ მკითხველთა ფარგლებში რეგისტრაციის ბარათებზე ძველი ნომრების ნაცვლად იწერება ახალი. ხელახალი რეგისტრაციის დროს ზუსტდება მკითხველთა საანკეტო მონაცემები.

მკითხველის ფურმულარი ახლით იცვლება მხოლოდ მთლიანად გამოყენების შემდეგ. გამოყენებული ფორმულარები არ ნადგურდება, ინახება არანაკლებ ორ წელს.

X. ლიტერატურის შინ და სამკითხველო დარბაზში გაცემის ტექნიკა.

91. მკითხველებზე შინ გაცემული ყველა წიგნი ჩაიწერება მკითხველის ფურმულარში. ამასთან, ნაჩვენები იქნება: დაბრუნების ვადა, საინვენტარო ნომერი, განყოფილების ინდექსი, წიგნის ავტორი და სათაური. მკითხველი ხელს აწერს წიგნის მიღებაზე. მკითხველის ფორმულარში ჩაიდება გაცემული წიგნის ფორმულარი, რომელზედაც იწერება ფორმულარის ნომერი.

შენიშვნები:

1. მიღებული წიგნების ჩაწერა შეიძლება აწარმოოს თვითონ მკითხველმა. ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკარი ვალდებულია შეამოწმოს ჩაწერის სისწორე.
2. საბავშვო ბიბლიოთეკაში წიგნის მიღებაზე მკითხველთა ხელის მოწერა არაა მიღებული

92. წიგნის დაბრუნებისას ბიბლიოთეკარი ვალდებულია მკითხველის ხელის მოწერა წაშალოს (ხაზი გადაუსვას) მისივე თანდასწრებით.

93. იმ შემთხვევაში, როდესაც მკითხველს სურს წაიღოს წიგნები არა მარტო თავისთვის, არამედ თავისი ოჯახის წევრებისთვისაც, ოჯახის თითოეულ წევრზე ივსება მკითხველის ჩვეულებრივი ფორმულარი. ამისათვის ოჯახის თითოეულმა წევრმა წერილობით ან ზეპირად უნდა განაცხადოს სურვილი ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ. შემდგომში ამ ოჯახის წევრებს შეუძლიათ მათთვის წიგნების მიღება მიანდონ ერთ რომელიმე მათგანს, რისთვისაც თითოეული მათგანი თავისი ფორმულარის მეორე გვერდზე აღნიშნავს: „წიგნის მიღებას ვანდობ ამას და ამას“. თარიღი. ხელმოწერა.

დაბრუნების ვადების საკონტროლო ფურცელზე (ფ. № 11) აღი-

ნიშნება წიგნის დაბრუნების დრო და მკითხველის ფორმულარის
ნომერი.

95. მკითხველთა ფორმულარები გაიწყო და დაბრუნების ვადე-
ბის მიხედვით, ხოლო ვადების ფარგლებში—მკითხველთა გვარების
ანბანის ან მათი ფორმულარების ნომრების მიხედვით.

შენიშვნა.

საბავშვო ბიბლიოთეკებში მკითხველთა ფორმულარები შეიძლება გაიწყოს
სკოლებისა და კლასების მიხედვით.

96. იმ მკითხველთა ფორმულარები, რომლებზედაც წიგნი არ
ირიცხება, გაიწყო ცალკე მკითხველთა გვარების ანბანის ან მათი
ფორმულარების ნომრების მიხედვით.

97. ბიბლიოთეკა ვალდებულია სისტემატურად ადევნოს თვალ-
ყური წიგნების თავის დროზე დაბრუნებას და მიიღოს ზომები დაგ-
ვიანებული წიგნების დასაბრუნებლად. წიგნით სარგებლობის ვა-
დის გასვლიდან არაუგვიანეს 15 დღისა ბიბლიოთეკა მკითხველს
უგზავნის შეხსენებას (ნომერი № 8) ან ტელეფონით აცნობებს დაგ-
ვიანებული წიგნის აუცილებლად დაბრუნების შესახებ. თუ ამ შეხ-
სენების შემდეგაც 10 დღეში არ დააბრუნეს წიგნი, ბიბლიოთეკა მკი-
თხველს უგზავნის მოთხოვნას დაგვიანებული წიგნის დაბრუნების
შესახებ (ნომერი № 9).

იმ მკითხველთა მიმართ, რომელთაც ამ მოთხოვნის შემდეგაც არ
დააბრუნეს წიგნები, ბიბლიოთეკა იღებს საზოგადოებრივი ზემოქ-
მედების ზომებს ან ახდენინებს წიგნების ღირებულებას სანოტა-
რო კანტორის აღმასრულებელი მიწერილობის საშუალებით.

შენიშვნა.

იმ მკითხველთა ფორმულარები, რომელთაც დაავიანეს წიგნების დაბრუნე-
ბა, გაიწყო ცალკე.

98. სამკითხველო დარბაზში წიგნებისა და ჟურნალების გაცე-
მისას წიგნებისა და ჟურნალების ფორმულარები ჩაიწყო მკითხ-
ველის ფორმულარში. ამასთან, სამკითხველო დარბაზში მკითხველ-
ზე გაცემული წიგნი და ჟურნალი ჩაიწერება მკითხველთა ფორმუ-
ლარში ჩვეულებრივი წესით, ხოლო მკითხველი წიგნისა და ჟურ-
ნალის მიღებაზე ხელს არ აწერს.

99. ბიბლიოთეკაში უნდა წარმოებდეს უარების აღრიცხვა იმ
წიგნებზე, რომლებიც სულ არაა ფონდში ან არის არასაკმაო რაო-

დენობით (ნიმუში № 10). ეს ჩანაწერები გამოიყენება წიგნდღის ფონდის შესავსებად ან საბიბლიოთეკათშორის აბონემენტების შესაკეთად.

XI. ბიბლიოთეკის ფილიალისა და გაცემის პუნქტის მუშაობის ტექნიკა.

100. ბიბლიოთეკის ფონდიდან გაცემის პუნქტებზე ან ფილიალებზე ლიტერატურის გაცემისას ყოველ პუნქტსა და ფილიალზე ივსება წიგნების აღრიცხვის რვეული, რომელშიც იწერება გაცემული ლიტერატურა განყოფილებათა მიხედვით, ხოლო შიგნით—ავტორთა გვარებს ანბანური რიგით.

101. ფილიალსა და გაცემის პუნქტში მკითხველთა ჩაწერა და მათზე წიგნების გაცემა წარმოებს მასობრივი ბიბლიოთეკით ხარგებლობის წესების მიხედვით..

102. ფილიალში (გაცემის პუნქტში) მკითხველების, მათი დახწრების, წიგნების გაცემისა და მასობრივი ღონისძიებების აღრიცხვა წარმოებს ცალკე დღიურში (ფფ. № 16 და 17).

XII. მოძრავი ბიბლიოთეკისა და წიგნდამტარებლობითი მუშაობის ტექნიკა.

ა) იმ ბიბლიოთეკის მუშაობის ტექნიკა, რომელიც აწარმოებს მოძრავების გაცემას.

103. მოძრავ ბიბლიოთეკებზე წიგნების გაცემა წარმოებს ბიბლიოთეკასა და მოძრავი ბიბლიოთეკის მიმღებ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (ნიმუში № 11).

ორგანიზაცია გამოყოფს მოძრავის გამგეს, რომელსაც აძლევს მინდობილობას წიგნების მიღებაზე (ნიმუში № 12).

104. თითოეული მოძრავისათვის შემოღებული უნდა იქნეს მოძრავი ბიბლიოთეკის ფორმულარი (ფ. № 18) ორ ცალად, რომელთაგან ერთი რჩება ბიბლიოთეკაში, მეორე ეძლევა მემოძრავეს.

105. ცნობები გაცემული და დაბრუნებული წიგნების საერთო

1 ამ დანაყოფის ზოგიერთ პუნქტში სახელწოდებას „მოძრავი ბიბლიოთეკა“ ცვლის სიტყვა „მოძრავი“.

რაოდენობის შესახებ იწერება მოძრავი ბიბლიოთეკის ფორმულარის სათანადო სვეტში.



106. მოძრავ ბიბლიოთეკაზე გაცემული წიგნებიდან ამოღებული უნდა იქნეს წიგნის ფორმულარები. თითოეულ მათგანზე აღინიშნება გაცემის თარიღი და მოძრავის ნომერი. მემოძრავე აქვე აწერს ხელს წიგნების მიღებაზე.

შენიშვნა.

მიღებულ წიგნებს მემოძრავე იწერს მოძრავი ბიბლიოთეკის წიგნების აღრიცხვის რვეულში (ფ. № 19).

107. მოძრავზე გაცემული წიგნების ფორმულარები ჩაიწყობა ყუთში გამყოფით, რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს მოძრავი ბიბლიოთეკის სახელწოდება და ნომერი, ხოლო შიგნით გაიწყობა სისტემატური ანბანური წესით. ფორმულარები ინახება დაკეტილ კარდაში. ბიბლიოთეკაში დაბრუნებული წიგნების ფორმულარები კვლავ წიგნებში ჩაიწყობა. ამასთან მემოძრავის ხელმოწერა უნდა წაიშალოს (გადაესვას ხაზი).

108. მოძრავი ბიბლიოთეკების დოკუმენტაციის შესანახავად ყოველ მათგანზე შემოღებული უნდა იქნეს ცალკე კაბრა („ბაპკა“) მოძრავი ბიბლიოთეკის რიგითი ნომრისა და სახელწოდების აღნიშვნით; კაბრაში ინახება: ხელშეკრულება, მინდობილობა წიგნების მიღებაზე, მოძრავის ფონდის შემოწმების აქტები, ანგარიშები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია მოძრავის ორგანიზაციასა და მუშაობასთან.

109. მოძრავ ბიბლიოთეკებში წიგნების შეცვლა ხდება ნაწილობრივ ან მთლიანად, მკითხველთა უმრავლესობის მიერ მათი გამოყენების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ორ თვეში ერთხელ.

110. მემოძრავის შეცვლის შემთხვევაში ხდება წიგნადი ფონდის შემოწმება და ძველიდან ახალ გამგეზე გადაცემა. გადაცემას უნდა დაესწროს მოძრავის მომწყობი ორგანიზაციის წარმომადგენელი. შემოწმების აქტში კეთდება ჩანაწერი მოძრავის მიღება-გადაცემის შესახებ.

111. მოძრავის მომწყობი ბიბლიოთეკა ფორმულარებში არსებული ჩანაწერების საფუძველზე კვარტალში ერთხელ აჯამებს მოძრავი ბიბლიოთეკების მკითხველთა რაოდენობას, მათზე გაცემულ წიგნებს, აგრეთვე მასობრივ ღონისძიებებსა და ამით მომსახურე-



ბულ მკითხველთა რაოდენობას. ჯამობრივი მონაცემები ჩაიწერება მხოლოდ ერთ-ერთი მოძრავი ბიბლიოთეკის ფორმულარის უკანასკნელი გვერდის შესაბამის სვეტში და ბიბლიოთეკის დღიურში (ფ. № 16).

ბ. მოძრავი ბიბლიოთეკის მუშაობის ტექნიკა

112. მოძრავის მიერ მიღებული წიგნები ჩაიწერება მოძრავი ბიბლიოთეკის წიგნების აღრიცხვის რვეულში. წიგნების ჩაწერა წარმოებს მოძრავეში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით, ხოლო შემდეგ—ავტორების და სახელწოდებათა მიხედვით.

113. წიგნები, რომლებსაც მემოძრავე აძლევს მკითხველებს, ჩაიწერება მკითხველთა ფორმულარებში.

მოძრავეში, სადაც არის 50 მკითხველზე ნაკლები, გაცემული წიგნები ჩაიწერება მოძრავი ბიბლიოთეკის მკითხველთა რვეულში (ფ. № 20).

114. მემოძრავე თავისი მკითხველისაგან იღებს შეკვეთებს წიგნებზე, გადასცემს სტაციონარულ ბიბლიოთეკას და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას.

115. მოძრავეები, რომლებიც ემსახურებიან 50-ზე მეტ მკითხველს, თავის მუშაობას დამოუკიდებლად აღრიცხავენ მოძრავი ბიბლიოთეკის დღიურში (ფ. № 21). შემდეგ ჯამობრივი მონაცემები გადაიტანება მოძრავის ფორმულარში, რომელიც სტაციონარულ ბიბლიოთეკაში ინახება.

გ. წიგნდამტარებლობითი მუშაობის ტექნიკა

116. სტაციონარულ ან მოძრავე ბიბლიოთეკას შეუძლია მკითხველებზე გასცეს წიგნები წიგნდამტარის საშუალებით.

117. თითოეულ წიგნდამტარზე შეივსება მკითხველის ფორმულარი (ფ. № 14). წიგნდამტარის რიგითი ნომერი დგინდება ცალკე, მკითხველისაგან დამოუკიდებლად. მისი რიგითი ნომრის წინ იწერება ასო „წ“ (წიგნდამტარი). წიგნდამტართა ფორმულარები გაიწყობა ცალკე, სხვა მკითხველთა ფორმულარებისაგან გამოყოფილად.

118. წიგნდამტარის მიერ წაღებული წიგნების ფორმულარებზე იწერება წიგნდამტარის ფორმულარის ნომერი და ინახება გამყოფის უკან, სპეციალურ ყუთში.

119. წიგნდამტარი თითოეულ მკითხველზე ხსნის ფორმულარს,

რომელშიც წერს მასზე გაცემულ წიგნებს.

120. წიგნდამტარი აბარებს ბიბლიოთეკას მკითხველთა ფორმულარებს, აგრეთვე გაუცემელსა და მკითხველთა მიერ დაბრუნებულ წიგნებს. ბიბლიოთეკარი მკითხველთა ფორმულარების მიხედვით დათვლის წიგნდამტარის მიერ გაცემულ წიგნებს და ჩაწერს ბიბლიოთეკის დღიურში. წიგნდამტარებლობით მომსახურებულ მკითხველთა ფორმულარები ინახება ყუთში წიგნდამტარის ფორმულართან ერთად.

XIII. საბიბლიოთეკათშორისო და დაუსწრებელი აბონემენტი.

ა. წიგნის უმეკვეთი ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტის მუშაობის ტექნიკა.

121. საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით სარგებლობის საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით მკითხველთათვის იმ საჭირო წიგნების მისაღებად, რომლებიც არ მოიპოვება მის ფონდში, მაგრამ არის სხვა ბიბლიოთეკებში. ბიბლიოთეკა ფართოდ აუწყებს თავის მკითხველებს საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით წიგნების მიღების შესაძლებლობათა შესახებ.

122. საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით სარგებლობის საფუძველს წარმოადგენს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ 1969 წლის 7 აპრილს დამტკიცებული „დებულება სსრ კავშირში ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტის შესახებ“.

123. საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით ლიტერატურა იგზავნება შევსებული შეკვეთის ბლანკის საფუძველზე, რომელიც საერთოა ქვეყნის ყველა ბიბლიოთეკისათვის. შეკვეთის ბლანკი (ფ. № 23) წარმოადგენს მთავარ იურიდიულ დოკუმენტს, მიღებულ გამოცემებზე ბიბლიოთეკის პასუხისმგებლობის საფუძველს.

124. მკითხველთა შეკვეთები იწერება საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით შეკვეთების აღრიცხვის რვეულის პირველ ნაწილში (ფ. № 22).

125. შეკვეთა ფორმდება სპეციალურ ნაბეჭდ ბლანკებზე (ფ. № 23) და იგზავნება შეკვეთის შემსრულებელ ბიბლიოთეკაში.



ბლანკების უქონლობის შემთხვევაში იგზავნება მარტივი წერილობითი განცხადება: „ბიბლიოთეკა გთხოვთ გამოგვიგზავნოთ წიგნები: 1) _____ 2) _____ და ა. შ.

126. შეკვეთილი წიგნების მიღებისთანავე ბიბლიოთეკა ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს შემსრულებელ ბიბლიოთეკას.

შენიშვნა.

საუწყებლოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამანათში ჩადებული ღია ბარათი (ნიმუში № 14).

127. საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით მიღებული წიგნები ჩაიწერება საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით წარმოებულ შეკვეთების აღრიცხვის რვეულის მეორე ნაწილში.

128. მკითხველები დაუყოვნებლივ აცნობებენ ბიბლიოთეკას შეკვეთილი წიგნების მიღების შესახებ.

129. საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით მიღებული წიგნები გაიცემა მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში სარგებლობისათვის. სამკითხველო დარბაზის უქონლობის შემთხვევაში წიგნები შეიძლება გაიცეს შინ მხოლოდ მუდმივ მკითხველებზე.

130. მკითხველების მიერ გამოყენებული წიგნები დაუყოვნებლივ იგზავნება უკანვე ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით წარმოებულ შეკვეთების აღრიცხვის რვეულში იწერება საფოსტო ქვითრის ნომერი და გაგზავნის თარიღი.

ბ. საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტის მუშაობის ტექნიკა შიდა-თავის შემსრულებელ ბიბლიოთეკაში.

131. ბიბლიოთეკა ერთიანი შეკვეთის ბლანკის საფუძველზე სხვა ბიბლიოთეკისათვის ხსნის საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტს. ყოველ აბონემენტზე გაიხსნება ფორმულარი (ფ. № 24), რომელშიც იწერება მისთვის გაგზავნილი წიგნები.

132. ბლანკ-შეკვეთის მიღებისთანავე ბიბლიოთეკა გასცემს წიგნებს ან გაგზავნის შეკვეთილი ბანდეროლით. ბანდეროლში ჩაიდება საუწყებელი ღია ბარათი.

133. წიგნების ფორმულარებზე აღინიშნება ბიბლიოთეკის სახელწოდება (ან ნომერი) და გაგზავნის თარიღი. წიგნების დაბრუნებამდე მათი ფორმულარები ინახება აბონენტის ფორმულარში.

134. მკითხველი, რომელსაც სურს წიგნის მიღება ფოსტით, ბიბლიოთეკას უგზავნის დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის მიერ დამოწმებულ განცხადება-ვალდებულებას (ნიმუში № 15).

135. ბიბლიოთეკაში მკითხველზე იხსნება ჩვეულებრივი ფორმულარი (ფ. № 14). ფორმულარზე დაიწერება: „დაუსწრებელი აბონენტი №—1“. დაუსწრებელ აბონენტთა ფორმულარები გაიწყოება სხვა მკითხველთა ფორმულარებისაგან ცალკე.

136. მკითხველთათვის გადარჩეული წიგნები მათს ფორმულარებში ჩაიწერება ჩვეულებრივი წესით. წიგნების ფორმულარები ჩაიწყოება მკითხველთა ფორმულარებზე დაწებულ ჯიბაკებში.

137. მკითხველებს წიგნები ეგზავნებათ ფოსტით, შეკვეთილი ბანდეროლით. ბანდეროლში ჩაიდება გზავნილების აღწერილობის ასლი წიგნებით სარგებლობის ვადების ჩვენებით. საფოსტო ქვითარი ინახება მკითხველის ფორმულარში.

138. ბიბლიოთეკაში წიგნების დაბრუნებისას მკითხველის ფორმულარში აღინიშნება მკითხველისაგან თითოეული წიგნის მიღების თარიღი.

139. მკითხველთა განცხადება-ვალდებულებანი, წერილობითი მოთხოვნები წიგნებზე, მიმოწერა მკითხველებთან და სხვ. რეკომენდებულია ინახებოდეს ცალკე კაბრებში.

XIV. მუშაობის აღრიცხვა

140. ყოველი ბიბლიოთეკა ვალდებულია აღრიცხავდეს: ა) მკითხველებს, ბ) წიგნების გაცემას, გ) დასწრებას, დ) მასობრივ მუშაობას, ე) მოძრავის მუშაობას, ვ) საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას.

შენიშვნა.

სარაიონო, საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკები დამატებით აწარმოებენ რაიონის (ქალაქის) საქალაქო, სასოფლო, საკოლმეურნეო, პროფკავშირული, სასკოლო და სხვა ბიბლიოთეკებისადმი გაწეული მეთოდური დახმარების აღრიცხვას.

